(ოქმს თან ერთვის სხდომის ჩანაწერი)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

2026 წლის 30 იანვრის სხდომის

ოქმი №01-06-02/02

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ზაზა სოფრომაძე.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი, სტუდენტი მარიამ კორკოტაძე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, წევრთა სიითი შემადგენლობის 88 წევრიდან ესწრებოდა 76 (დანართი №1).

დღის წესრიგი:

1. **საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 29 იანვრის განცხადების განხილვა** – მომხსენებელი წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სპიკერი, პროფესორი ზაზა სოფრომაძე;
2. მიმდინარე საკითხები.

2026 წლის 30 იანვარს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით შედგა სენატის რიგგარეშე სხდომა. სენატის დღის წესრიგში იყო ერთი საკითხი, კერძოდ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 29 იანვრის განცხადების განხილვა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაერთიანების შესახებ. სხდომაზე სენატის წევრთა უმრავლესობამ გამოთქვა საკუთარი მოსაზრება და დააფიქსირა პოზიცია, რომ უნივერსიტეტების გაერთიანება შეუძლებელია.

სენატმა ერთხმად დაადგინა:

1) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი), არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის, ბატონ გივი მიქანაძის მიერ უნივერსიტეტების გაერთიანების შესახებ 2026 წლის 29 იანვარს გაჟღერებულ განცხადებას არ ეთანხმება;
2) სენატი მოითხოვს, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი ან მისი უფლებამოსილი პირები, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები შეხვდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, სენატს, აკადემიურ და სამეცნიერო საზოგადოებას, ადმინისტრაციას, სტუდენტებს, რათა მოსმენილ იქნეს სტუ-სა და თსუ-ს გაერთიანების საჭიროების შესახებ არგუმენტები;
3) ეთხოვოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატს, კერძოდ კი მის რექტორს, აკადემიკოს დავით გურგენიძეს დაიცვას და წარმოადგინოს უნივერსიტეტის ერთიანი პოზიცია საქართველოს საპარლამენტო კომიტეტის და სამთავრობო შეხვედრებზე.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი ზაზა სოფრომაძე

სხდომის მდივანი, სტუდენტი მარიამ კორკოტაძე